



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 7
11/12/2017

7-06-4-201712111307



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ნორა მდივანის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილებაში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე მობილობის წესით გადაყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კომისიის 2017 წლის 1 ოქტომბრის N2 სხდომის ოქმის და ნ. მდივანის. 2017 წლის 8 დეკემბრის N17 განცხადების (თანხმობის) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ნორა მდივანის მობილობის წესით გადაყვანილი იქნას 2017 წელს გაუქმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 850 (რვაასორმოცდაათი) ლარით.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო